ახალგორის
მუნიციპალიტეტის
გაზეთი

№3(119)
მარტი
2024 წელი

გამოდის თვეში
ერთხელ

31 მარტი საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის რეფერენდუმისა და საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ეროვნული გმირის, ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეა 3

ევროკავშირის საკითხებში საპარლამენტო კომიტეტების კონფერენციამ (COSAC) მხარი დაუჭირა საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების მოლაპარაკების პროცესის მომზადების დაწყებას 8

ისტორიული გამარჯვება: საქართველოს საფეხბურთო ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს

ისტორიაში პირველად, **საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები** ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს. 26 მარტს საქართველოს ნაკრებმა **ევრო 2024**-ის საკვალიფიკაციო ეტაპის ფინალურ შეხვედრაში საბერძნეთის ეროვნულ ნაკრებს სძლია. ანგარიშის ბედი პენალტების სერიაში გადაწყდა და საქართველოს სასარგებლოდ - 4:2 დასრულდა.

პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის განცხადებით, ამ ისტორიული გამარჯვებისთვის ღირსების ორდენით დაჯილდოვდება ის 26 ფეხბურთელი, რომელიც საქართველო-საბერძნეთის ფინალურ მატჩზე იყო გამოძახებული. ასევე, დაჯილდოებული და ღირსების ორდენზე წარდგენილი იქნება მთლიანად საწვრთნელო შტაბი და ფედერაციის ხელმძღვანელობა.

„ეს არ არის უბრალოდ გამარჯვება, ეს არის ისტორია, რომელიც დაიწერა, ნამდვილად. ამისთვის ვწვალობდით, ვიბრძოდით რამდენიმე ათეული წელი... გილოცავთ და წინ კიდევ უფრო მეტი გამარჯვების სიხარული გვენახოს სრულიად საქართველოს...” – განაცხადა **თბილისის მერმა კახა კალაძემ.**

ასევე, ცნობილი გახდა, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრების ისტორიული გამარჯვებისა და ევროპის 2024 წლის ჩემპიონატზე თამაშის აღსანიშნავად, საქართველოს ეროვნული ბანკი საკოლექციო მონეტას გამოუშვებს.

ევრო-2024 გერმანიაში გაიმართება და ჯგუფის პირველ შეხვედრაში საქართველოს ეროვნული ნაკრები 18 ივნისს თურქეთის ეროვნულ ნაკრებს დაუპირისპირდება.

ნიქოზისა და ცხინვალის მიტროპოლიტი ისაია მსოფლიო პატრიარქს ეწვია

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმთავარი და წმინდა სინოდის წევრი, ნიქოზისა და ცხინვალის მიტროპოლიტი ისაია მსოფლიო პატრიარქ ბართლომეოსს ეწვია და პირადი აუდიენცია ჰქონდა. სოციალურ ქსელში ინფორმაციასა და ფოტომასალას დმანისი, აგარაკ-ტაშირის მთავარეპისკოპოსი ზენონი ავრცელებს და წერს: „მეუფე ისაიას მიერ შესრულებული ნახატი მსოფლიო პატრიარქთან აუდიენციამდე რამოდენიმე საათით ადრე.

მისი პიროვნების გაცნობით აღფრთოვანებული იყო მისი ყოვლადუწმიდესობა“.

შეგახსენებთ, მიტროპოლიტი ისაია საქართველოს ეკლესიის რუსების მიერ ოკუპირებულ ცხინვალის ეპარქიას მართავს, სადაც ოკუპანტები არ აძლევენ უფლებას სრულყოფილად შეასრულოს თავისი მოვალეობები.

ახალგორის სამუსიკო სკოლას ფორტეპიანო გადაეცა

გაზაფხული ორ ლამაზ დღესასწაულს გვთავაზობს – დედის დღესა და 8 მარტს... სწორედ ამ დღეებში ჩვენმა სამუსიკო სკოლამ დიდი საჩუქარი მიიღო – მცხეთის მუნიციპალიტეტის მერმა დიმიტრი ზურაბიშვილმა, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად წეროვანში მუსიკალური სკოლა მოინახულა და ბავშვებს საჩუქრად ფორტეპიანო გადასცა. ახალგორის სამუსიკო სკოლის დირექცია, პედაგოგები, მოსწავლეები მადლობას უხდიან მცხეთის მუნიციპალიტეტს ყურადღებისა და საჩუქრისათვის.

მარინა ხრიკული
ახალგორის სამუსიკო სკოლის ხელმძღვანელი

ახალგორი
ახალგორის მუნიციპალიტეტის გაზეთი
რედაქტორი ანა ყურშავიშვილი
კონტაქტი: ტელ: +995 593 501279
mail: gazeti.akhalgori@gmail.com

ცესკოს წარმომადგენელთა შეხვედრა ამომრჩევლებთან

7 თვე დარჩა საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებამდე. როგორც ცნობილია, ეს არჩევნები ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარდება. ცესკოს წარმომადგენლებმა ამომრჩეველთა ფართომასშტაბიანი ინფორმირების კამპანიის ფარგლებში, ახალგორის მუნიციპალიტეტის კომპლექსურ სასპორტო სკოლის დარბაზში მორიგი შეხვედრა გამართეს.

მოსახლეობას და მუნიციპალიტეტში შემავალ ყველა ა(ა) იპ-ების თანამშრომლებს, ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვასთან დაკავშირებით, საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული საქმიანობის, საარჩევნო ელექტრონული ტექნოლოგიების უპირატესობებისა და მნიშვნელოვანი სიახლეების შესახებ დეტალური ინფორმაცია ცესკოს წარმომადგენლებმა მიაწოდეს.

შეხვედრის მონაწილეები პირადად გაეცნენ ელექტრონული ტექნოლოგიების მუშაობას, ასევე გაიმართა იმიტირებული კენჭისყრაც, რომლის ფარგლებშიც დაინტერესებულმა პირებმა პრაქტიკაში გამოცადეს ვერიფიკაციისა და ხმის დათვლის აპარატების მუშაობა.

31 მარტი საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის რეფერენდუმისა და საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ეროვნული გმირის, ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეა

დამოუკიდებლობის აღდგენის რეფერენდუმი

1991 წლის 31 მარტს, საქართველოს ეროვნულმა ხელისუფლებამ, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით, ჩაატარა რეფერენდუმი – საერთო-სახალხო კენჭისყრა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საკითხზე.

რეფერენდუმი დაინიშნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 28 თებერვლის დადგენილების საფუძველზე. ამ დადგენილებით გაუქმდა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ 1991 წლის 17 მარტს დანიშნული რეფერენდუმი სსრ კავშირის შენარჩუნების საკითხზე და 1991 წლის 31 მარტს დაინიშნა საქართველოს რესპუბლიკის რეფერენდუმი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის თაობაზე კითხვით „თანახმა ხართ თუ არა აღსდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?“


საქართველოს რესპუბლიკის რეფერენდუმი

1991 წლის 31 მარტი

ს ა რ ე ფ ე რ ე ნ დ უ მ ი ბ ი უ ლ ე ტ ე ნ ი

РЕФЕРЕНДУМ РЕСПУБЛИКИ ГРУЗИЯ

31 марта 1991 года

Б Ю Л Л Е Т Е Н Ь Д Л Я Р Е Ф Е Р Е Н Д У М А

Согласны ли Вы, чтобы государственная независимость Грузии была восстановлена на основании акта о независимости от 26 мая 1918 года?	თანახმა ხართ თუ არა, აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?
ДА	**არა**
ДА	**НЕТ**

(შეაბიჯეთ თქვენთვის სასურველი პასუხი)
(обведите желаемый для Вас ответ)

რეფერენდუმი ჩატარდა 1991 წლის 31 მარტს მთელი საქართველოს მასშტაბით. რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო სამხრეთ ოსეთის ყოფილი ოლქისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობამაც. რეფერენდუმში მონაწილეთა რაოდენობა შეადგენდა 3.302.572 ადამიანს (ამომრჩეველთა 90,3 პროცენტი). მონაწილეთა 98,9 პროცენტმა მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. რეფერენდუმის შედეგად, იმავე წლის 9 აპრილს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. იმავე დღეს აშშ-ის სენატმა საგანგებო რეზოლუციით ლეგიტიმურად ცნო 31 მარტის რეფერენდუმის შედეგები, რაც წარმოადგენდა საქართველოს დამოუკიდებლობის დე-ფაქტო ცნობას.

პოლიტიკური მნიშვნელობა

1991 წლის 31 მარტის საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი“, ხოლო 29 სექტემბერს აფხაზეთში ჩატარდა აფხაზეთის ასსრ-ის არჩევნები. კენჭისყრის შედეგად ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობამ უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს შემადგენლობა დააკომპლექტა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნებზე აქტიურად მონაწილეობდნენ ისეთი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, როგორებიც იყვნენ კომუნისტური პარტიისა და აფხაზეთის სახალხო ფრონტის ლიდერები – ვლადისლავ არძინბა, სერგეი ბაღაფში, სერგეი შამბა და სხვები, რომლებმაც პირველივე ტურში მოიპოვეს გამარჯვება. აღნიშნული პოლიტიკური ძალების (შემდგომში – სეპარატისული ლიდერების) მიერ საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ერთეულის, კერძოდ კი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობით მოხდა მათ მიერ აფხაზეთის ტერიტორიაზე 31 მარტის რეფერენდუმის შედეგების პირდაპირი აღიარება, რაც კიდევ ერთი დასტურია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დე იურობისა.

წელს ზვიად გამსახურდიას 85 წელი შეუსრულდებოდა



ფილოლოგი, მწერალი, მთარგმნელი, პოლიტიკოსი, დისიდენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის (1973–1990) ერთ-ერთი ლიდერი, საქართველოს პირველი პრეზიდენტი (1991–1992), საქართველოს ეროვნული გმირი ზვიად გამსახურდია 1931 წლის 31 მარტს დაიბადა გამოჩენილი ქართველი მწერლის – კონსტანტინე გამსახურდიასა და მირანდა ფალავანდიშვილის ოჯახში. მამის ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალულმა შემოქმედებამ სიჭაბუკეშივე აზიარა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის იდეას. ზვიად გამსახურდია თავის იდეურ და სულიერ ძმასთან, მერაბ კოსტავასთან ერთად, მეოცე საუკუნის 70-80-იან წლების საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და ბრძოლის მედროშე იყო. მათ ილიას გზით, ქრისტესმიერი ეკლიანი გზით იარეს და თავი გადადეს სამშობლოს თავისუფლებისთვის.

ზვიად გამსახურდია თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტია, ის საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ 1991 წლის 9 აპრილს პრეზიდენტად აირჩია.

სახელმწიფო გადატრიალების შედეგად, ზვიად გამსახურდია 1992 წლის 6 იანვარს გადადგა პრეზიდენტის პოსტიდან. 1993 წლის დეკემბერში კი დევნილობაში გარდაიცვალა. იგი დაკრძალულია მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ძალებმა, რომლებსაც სურდათ, საქართველო თავისუფალი არ ყოფილიყო, ზვიად გამსახურდიას არ აპატიეს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა.

ჩემი ფიქრი, სიზმარი სულ ახალგორზეა...

58 წელი ფორტეპიანოსთან ზის და პატარებს ასწავლის კლასიკურ მუსიკას. მათ გაუწაფავ თითებს თავისას მიაყოლებს... უმცროსებს კომპოზიტორების ფოტოს აჩვენებს, გვარს გაამეორებინებს რამდენჯერმე, თვითონ დაუკრავს და მოასმენინებს, – ბავშვს აუცილებლად უნდა მოეწონოს ეს მელოდია (ასე თვლის პედაგოგი) და შემდეგ დაიწყებენ მეცადინეობას, უფროსებს კი ამა თუ იმ კლასიკოსის ცხოვრების, შემოქმედების საინტერესო ეპიზოდებს უამბობს, მათაც მოასმენინებს და შემდეგ ორივე საოცარი სამყაროს ნაწილი ხდება...

58 წელია, რაც ანგო როსტიაშვილი ფორტეპიანოს მასწავლებელია ახალგორის სამუსიკო სკოლაში, მათგან 32 წელი სკოლის დირექტორი ბრძანდებოდა... დაწყევლილი ომის შემდეგ წეროვანში განაგრძო მოღვაწეობა... რამდენიმე წელია, თავისი სურვილით დატოვა დირექტორის პოსტი და მხოლოდ პედაგოგად მუშაობს.... 16 მოსწავლე ჰყავს... 16 ბავშვს აზიარებს კლასიკური მუსიკის საოცარ სამყაროს... მისი მოსწავლეები ყოველთვის წარმატებით გამოდიან კონცერტებზე, ქალბატონი ანგო სიამაყით იხსენებს იმ დროს, როცა, ახლა უკვე მისი კოლეგების, მაია ქურთაულის და ცირა მიდელაშვილის მასწავლებელი იყო...

– როცა პირველკლასელი ბავშვი მოდის ჩემთან ახალი სასწავლო წლის დასაწყისში, ისეთ მოზღვავებულ ენერგიას და სიხარულს განმაცდევინებს ეს ფაქტი, რომ თითქოს ვღელავ კიდეც... ასე მგონია, ახლა ვიწყებ მასწავლებლობას და ყველანაირად ვცდილობ, ახალ მოსწავლეს, პატარა პირველკლასელ ბავშვს შევაყვარო კლასიკური მუსიკა, მეცადინეობა, ინსტრუმენტთან ურთიერთობა... მისი გაუწაფავი თითები მინდა მოვარგო კლავიშებს, მოვამზადო ტექნიკურად, – თავისუფალი ხელი ძალიან მნიშვნელოვანია ნაწარმოების შესასწავლად და შესასრულებლად, ვასწავლო მელოდიის სწორი აღქმა... პატარა როცა გაკვეთილზე ხალისით, სიხარულით ინტერესით მოდის (და არა მშობლების ძალდატანებით, რაც არ არის იშვიათი), მეც სიხარული და მოტივაცია მეუფლება...

– ხომ არ ნანობთ, მთელი ცხოვრება მუსიკის მასწავლებლობას რომ მიუძღვენით? თავიდან რომ იწყებდეთ ცხოვრებას...

– რას ამბობთ! ვნანობ კი არა, ნეტავი დიდხანს ვიცოცხლო და დიდხანს ვაკეთო ჩემი საქმე, რომელიც ძალიან მიყვარს... რომ არ მიყვარდეს, ვერ შევძლებდი...

– გაიხსენეთ პირველი შეხება ფორტეპიანოს კალვიშებთან...

– როცა სკოლის მოსწავლე ვიყავი, ახალგორში სამუსიკო სკოლა არ არსებობდა, მაგრამ იმდენად მიტაცებდა პიანინოზე დაკვრის სურვილი, რომ ჩემით ვსწავლობდი, ან ახალგორელები, ჩემი თანატოლები, ვინც თბილისში ცხოვრობდნენ და ზაფხულში ან არდადეგებზე ჩამოდიოდნენ, მათთან მივდიოდი და ვუკრავდით...

სამუსიკო სკოლა რომ გაიხსნა, მე მეშვიდე კლასში ვსწავლობდი და არ მიმიღეს, უკვე დიდი ხარო... მშობლებმა დამამშვიდეს და დამპირდნენ, რომ თბილისში წამიყვანდნენ, მაგრამ კიდევ ერთხელ ვცადე დირექტორთან მისვლა. მოცარტის საკმაოდ რთული სონატა დამაკვრევინა და სამუსიკო სკოლის მესამე კლასში ჩავირიცხე. სკოლის პროგრამაც სამ წელიწადში გავიარე, წარმატებით.

მაგ დროს სკოლაც დავამთავრე და თბილისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის მუსიკალურ სასწავლებელში ჩავრიცხე... პირველ კურსზე ვიყავი, როცა მუსიკალურ სკოლაშიც მიმიწვიეს სამუშაოდ და ერთი ბავშვი მომცეს... მაინც მიხაროდა... ასე დავიწყე მუშაობა... ზოგჯერ მიკვირს ხოლმე, რომ იტყვიან, დავიღალეო, ან მომბეზრდაო ერთი და იმავე საქმის კეთება... მე არც დავღლილვარ და არც მომბეზრდა... ერთი და იგივე როგორ არის? – ყველა ბავშვი ინდივიდუალურ მიდგომას მოითხოვს, ყოველი ნაწარმოები მისი ნიჭის, შესაძლებლობის მიხედვით შეირჩევა... საკონცერტო პროგრამაც ასე... მთელი ცხოვრება მივუძღვენი ჩემს საყვარელ საქმეს... ჯერ არ მახსოვს მშობლის უკმაყოფილება ან საყვედური... პირიქით...

– კიდევ რა გიყვართ?

– კულინარია, ქარგვა... ახალგაზრდობაში ცეკვა მიყვარდა... ახალგორში არაჩვეულებრივი ანსამბლი იყო ჩამოყალიბებული, არაჩვეულებრივი ქორეოგრაფებით... რა კარგი დრო იყო... ძალიან მენატრება ახალგორი... გამოთქმაც კი არ შემიძლია... ერთი მხრივ, მიხარია, რომ იქ ისევ ფუნქციონირებს, ჩემსას ვეძახი, ჩემი სამუსიკო სკოლა და მას ისევ ჩვენი სკოლის პედაგოგი ნინო ბაგაევა ხელმძღვანელობს... ახალგორში დაბრუნების იმედი არასდროს დამიკარგავს...

– რა საკითხია მოსაგვარებელი თქვენს სფეროში?..

– კულტურის სამინისტროდან ყურადღება არ გვაკლია, მაგრამ ხელფასია ძალიან მცირე. იცით რამდენ ძალას, ენერგიას, დროს, პროფესიონალიზმს მოითხოვს ბავშვისათვის მუსიკის შესწავლა?

– კიდევ რა არ მოგწონთ?

– არ ვარ პრეტენზიული ადამიანი, ყველაფერს დადებითი მხრიდან ვუყურებ...

– რა გედარდებათ?

– ახალგორი და... ახალგორი... ახლახან ჩემი ერთადერთი ძმა გია როსტიაშვილი წავიდა ამ ქვეყნიდან... ეს ჩემთვის მხარის ჩამოცლას ნიშნავდა, გულის გაყოფას... როგორ გითხრათ.... ტყუპებივით გავიზარდეთ... მასაც ძალიან უყვარდა ახალგორი და მშობლების გვერდით ვერ შევძელით მისთვის სამუდამო სამყოფელის შექმნა... ჩემი ფიქრი, სიზმარი, მომავალი სულ ახალგორზეა...

– ეს მასალა მხიარულ ნოტზე მინდა დავამთავროთ...

– რა თქმა უნდა... მყავს ძალიან კარგი გუნდი, კოლეგები სამსახურში, კარგი ხელმძღვანელი მარინა ხრიკული, ხალისიანი მოსწავლეები და მაქვს თბილი ოჯახი – მეუღლე, შვილი, მყავს ძმისშვილები და მაზლისშვილები, რომლებიც ძალიან მიყვარან და მილამაზებენ ცხოვრებას.

ფარიზეთ ცხოვრებოვა: ადამიანებმა ყოველთვის კარგი უნდა დაინახონ ერთმანეთში

ჩვენს დასახლებაში ცხოვრობს ერთი კეთილშობილი ქალბატონი ლარგვისიდან, რომელმაც მთელი ცხოვრება, ახალგაზრდობიდან მოყოლებული, ლარგვისში გაატარა. ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ გაანაწილეს ლარგვისის საშუალო სკოლაში მასწავლებლად. ფარიზეთ ცხოვრებოვა მაშინ მხოლოდ 21 წლის იყო... საკლასო ჟურნალი გულთან ახლოს მიუტანია და ასე შესულა კლასში, – გულის ბაგაბუგი მესმოდა და მეშინოდა, გული არ ამომვარდნოდაო... მერე, როცა გული საგულეს დაიგულა, თავისი საქმე და მოსწავლეები შეიყვარა, მაინც გულთან ახლოს მიჰქონდა არამარტო ჟურნალი, თითოეული მოსწავლის აღზრდისა და განთლების პრობლემები...

გულწრფელი სიყვარულიც აქ ეწვია. გულისსწორი ლარგვისელი არჩილ მელთაური აღმოჩნდა და მელთაურების ოჯახის რძალი გახდა... ოთხი ძმა თავისი ოჯახებით და ერთი და სიამტკბილობით ცხოვრობდნენ. მეზობლების და სოფლის საქებ ოჯახში. თავადაც სამი ვაჟკაცი გაზარდეს. შვილებს უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ გმირების სახელები დაარქვეს, უფროსებს – ტარიელი და ავთანდილი, უმცროსს – რამაზი. სამივე საზოგადოების ღირსეული, თვალსაჩინო წევრია და შვილებით და შვილიშვილებით ახარებენ 96 წლის დედას...

ამაგდარ ქალბატონს სახლში ვეწვიე...

ხმამაღლა ვსაუბრობდით... საუბრისას ცრემლი მოერია თვალებში:

– ღმერთთან არაფერი მაქვს სათხოვარი, – მინდა, ჩვენს ხეობაში დავბრუნდეთ, ამ დღეს მოვესწრო, ლარგვისში, ჩემ სახლში მინდა, აქ ვერა ვძლებ... მთელი ცხოვრება ლარგვისში გავატარე, ძალიან მიყვარს იქაურობა... სკოლა და სახლი, მოსწავლეები და ჩემი შვილები. არჩილი კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობდა, სულ საქმეზე იყო გასული, მეც ბევრი საქმე მქონდა, მაგრამ ახალგაზრდა როცა ხარ, როცა შეგიძლია, კარგია... მერე სტუმრიანი ოჯახი გვქონდა, მიმსვლელ-მომსვლელი, სოფელი ღონიერი იყო, საქონელი გვყავდა, ფრინველი, ერთმანეთთან ტკბილად ვიყავით. ეხლანდელები დაქორწინდებიან და ცალკე უნდათ ცხოვრება, ვის გაურბიან... ოთხი მაზლისცოლი დებივით ვიყავით... რა კარგი დრო იყო...

– რას ურჩევთ დღევანდელ ახალგაზრდობას?

– ადამიანებმა ყოველთვის კარგი უნდა დაინახონ ერთმანეთში. არ ვარგა შური და ბოღმა, ცუდი ადამიანი არ არსებობს, ყველას აქვს რაღაცა ერთი მაინც კარგი და იმითი უნდა დავაფასოთ. ერთმანეთის პატივისცემაა მთავარი, ეს არ უნდა დაივიწყონ... მთელი ცხოვრება მასწავლებელი ვიყავი, სიკეთეს და ერთმანეთის პატივისცემას ვასწავლიდი მოსწავლეებს... ახალგაზრდობასაც ამას ვურჩევ...

პ.ს. ქალთა სადღესასწაულო დღეებში ფარიზეთ ცხოვრებოვას ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელი გელა შერმადინი და მისი მოადგილე ბონდო ყველაშვილი ესტუმრნენ. ყვავილები და ტკბილეული მიართვეს პატივისცემის ნიშნად და იმ ღვაწლის აღიარების დასტურად, რომელიც მან თავისი ცხოვრების მანძილზე გასწია. ასეთი წუთები მართლაც დიდი ჯილდოა მასწავლებლისთვის...

პირველკლასელთა რეგისტრაცია დაიწყო

წელს პირველ კლასში დარეგისტრირებას შეძლებენ ბავშვები, რომლებსაც 6 წელი 1-ელ დეკემბრამდე შეუსრულდებათ

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ 2024-2025 სასწავლო წლისთვის საჯარო სკოლებში პირველკლასელთა რეგისტრაციისთვის ვადები და პირობები განსაზღვრა. მინისტრის გიორგი ამილახვრის გადაწყვეტილებით, სასკოლო ასაკთან დაკავშირებით „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილება შევიდა. კერძოდ, 2024-2025 სასწავლო წელს პირველ კლასში დარეგისტრირებას შეძლებენ ბავშვები, რომლებსაც 6 წელი 1-ელ დეკემბრამდე შეუსრულდებათ.

ცვლილების თანახმად, ბავშვის მზაობისა და მისი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, სასწავლო წლის დაწყების მომდევნო დღიდან 1-ელ დეკემბრამდე დაბადებული პირების მშობლებს ან კანონიერ წარმომადგენლებს უფლება ექნებათ, გააკეთონ არჩევანი: გააგრძელონ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიღება სასკოლო მზაობის პროგრამაში ჩართვით, ან დარეგისტრირდნენ პირველკლასელებად.

პირველკლასელთა რეგისტრაციის ვადები:

I ეტაპი — რეგისტრაციის პირველ ეტაპზე, 2024 წლის 6 მარტიდან 20 მარტის ჩათვლით, სკოლებში დარეგისტრირდებიან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები.

პირველ ეტაპზე დასარეგისტრირებელი ბავშვების მშობლებმა განცხადებით უნდა მიმართონ სასურველ

დასასრული მე-11 გვერდზე

ყოველთვის ვგრძნობ ჩემი მოსახელე წმინდანის მფარველობას

ინტერვიუ ფსიქოლოგ თამარ ბუთხუზთან

– „ზღვისფერი გაქვს თვალები და თავად გავხარ ზღვას...“

– გენიალურმა კონსტანტინე გამსახურდიამ ალბათ შენნაირ ზღვისფერთვალებას მიუძღვნა ეს ლექსი...

– დიდი მადლობა...

– შენს სტატუსებს გადავავლე თვალი და ასე გიპოვე... ვფიქრობ, საინტერესო ინტერვიუ გამოგვივა... მაინც რა გაწუხებს? რა გადარდიანებს?..

– დარდი და სევდა, ალბათ, ადამიანის მთელი ცხოვრების თანმდევი მდგომარეობაა, მაგრამ სევდა-დარდის ობიექტი დროთა განმავლობაში იცვლება, იცვლება ჩვენი ცხოვრების ცვლილებებიდან გამომდინარე. ალბათ, ბევრისთვის გასაკვირი არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ მადარდიანებს ადამიანებსა და გარე სამყაროს შორის გაჩენილი უფსკრული. ადამიანები ვეღარ ამჩნევენ, რომ მათ გარდა არსებობს ბუნება, არსებობენ ცხოველები. ძალიან ხშირად ჩამესმის ყურში „ცხოველების დაცვა მოდაში შემოვიდა“, „ადამიანებზე მეტად ცხოველები გიყვართ“, „ეხლა გამოვარდებიან ძაღლების დამცველები“ და ა.შ. გულსატკენია ჩემთვის ეს სიტყვები, მით უმეტეს, მაშინ, როცა იცი, რომ შენ გგულისხმობენ, თუმცა არც იმის გამბედაობა აქვთ, რომ პირდაპირ შენ დაგასახელონ. მადარდიანებს ადამიანების ქცევა, რომლის შედეგიც არის ბუნებაში დაყრილი ნაგავი, ისეთ ადგილებში, სადაც ადამიანის „მონდომების“ გარეშე ნაგავი ვერ აღმოჩნდებოდა. მაწუხებს ის, რომ არ ვუფრთხილდებით გარემოს, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, თუმცა შეგვიძლია მამაპაპური ყანწით შევსვათ დედაბუნების და სამშობლოს სადღეგრძელო. მაწუხებს ქუჩაში გაყრილი ძაღლების ხროვა და ადამიანების ისეთი დამოკიდებულება, თითქოს ეს ძაღლები ციდან ცვივა, რეალურად კი ისევ ადამიანების უპასუხისმგებლობით არიან ქუჩაში გაყრილები. მაწუხებს გულგრილობა ამ საკითხთან დაკავშირებით, როცა არავინ ინტერესდება, ვინ ესროლა ძაღლს, ვინ გადაუარა მანქანით, როგორ შეიძლება მოგვარდეს ეს პრობლემა. მადარდიანებს ადამიანების გულცივობა, როცა მათ წინ გაძვალტყავებული ძაღლი დადის და არ იმეტებენ ერთ ნაჭერ პურს, რომელიც მას გადაარჩენდა. ბევრჯერ უთქვამთ ჩემთვის დაცინვით – რას დადიხარ და აჭმევ მაგ ძაღლებს, მეტი საქმე არ გაქვსო?..

– „თეთრ ცხენზე ამხედრებული პრინცი“, როგორც ვხვდები, ჯერ არ ჩანს... როგორი წარმოგიდგენია ის?

– ეს ალბათ ისეთი კითხვაა, ჩემს ასაკში რომ აღარ უსვამენ, რადგან პასუხია „ოღონდ იყოს და“... ეს ხუმრობით, რა თქმა უნდა. სიმართლე რომ გითხრათ, არ მიფიქრია ამაზე, არ მაქვს შაბლონი, რომელიც კანდიდატს უნდა მოვარგო. თუმცა ერთი ვიცი: თუ ჩემი ძაღლი არ ეყვარება, სულ კარგად ბრძანდებოდეს.

– ახალგორი გენატრება... როგორი, ან უფრო მეტად რა გახსოვს?

– მე ნახევრად სოფელ ახმაჯში გავიზარდე, ნახევრად ახალგორში, ჩემი ბავშვობა მთლიანად ამ ორ ადგილს უკავშირდება და მენატრება ყველაფერი, წლის ყველა სეზონზე. იქაური გაზაფხული მენატრება, როცა უამრავი ახლად აყვავებული ხის სურნელი იდგა, მიწის, მიწიდან ამოფეთქილი პაწაწუნა ბალახების, მოტეხილი სუსხის და მზის სითბოს ნარევი სურნელი იდგა.

მენატრება იქაური ზაფხული, როცა ყველა ერთად ვიკრიბებოდით ბებოსთან, ყველა ერთად ვიყავით, დავდიოდით ქსანზე საბანაოდ. საღამოობით ბიძაშვილს სასეირნოდ ცენტრში მივყავდი, ახალგორის მთავარი ქუჩა გადავსებული იყო ხოლმე მოსეირნე ახალგაზრდებით. არავის ჰქონდა მიმართულება, სად უნდა წასულიყო, მაგრამ ყველა სადღაც მისეირნობდა. მენატრება, ახმაჯში, საღამოს რომ მოუთმენლად ველოდი, რათა დედას არხზე წავეყვანე საბანაოდ, შემდეგ კი ვენახში ან კოდახევის ტყეში წასვლა. იმ მიწის და ხეების სუნი მენატრება.

იქაური შემოდგომა მენატრება, აქ არ გვაქვს ისეთი შემოდგომა, იქ სხვანაირი შემოდგომა იყო, უფრო ლამაზი, უფრო მრავალფერი. შემოდგომის სუნი, ხომ იცით, როგორია, განსაკუთრებით საღამოს, უკვე რომ აცივდება და საღამოობით ღუმელს ანთებენ. შეშის ნამწვის სუნი რომ უერთდება სუსხიან ჰაერს. შემოდგომის მიწურულს, საღამოს როცა სახლში ვბრუნდები ხოლმე, ვცდილობ, დავიჭირო ეს სურნელი ჰაერში, მაგრამ ძალიან იშვიათად, რადგან აქ შეშის ღუმელი იშვიათია...

ზამთარი არც იქ მიყვარდა და არც აქ, მაგრამ ჩემთვის ეს შობის ღამეს ახალგორის ეკლესიაში გათებული ღამეა. აქაც გვაქვს, მაგრამ სხვანაირი. ახალგორში ჩემი ბებო ნატა ბურდული მენატრება, ის იყო იმ სახლის ფუძე, რომელიც ჩემს იქ გატარებულ წლებთან ასოცირდება. როცა დავბრუნდებით და ადრინდელივით იქ აღარ დაგვხვდება, არ ვიცი, როგორი იქნება ახალგორი.

– ძალიან ბევრი ისწავლე... ეს მოთხოვნილება იყო, გატაცება თუ მიზანდასახული გადაწყვეტილება, მოდი, ჩამოვთვალოთ...

– საერთოდ, მიყვარს სწავლა, განვითარება, სიახლის ძიება... დავამთავრე ტექნიკური უნივერსიტეტი, მაგისტრატურაც აქ დავამთავრე სატრანსპორტო ლოჯისტიკის (გადაზიდვა) სპეციალობით. ასევე – ანდრია პირველწოდებულის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტი...

– რომელი სპეციალობით მუშაობ?..

– ვმუშაობ საქართველოს ბიზნესის აკადემიაში ორი მიმართულებით: სატრანსპორტო ლოჯისტიკა და ფსიქოლოგიის საფუძვლები. აგრეთვე – მცხეთაში შშმ პირთა დღის ცენტრში „მომავლის რწმენა“.

– არ გიჭირს? – წეროვნის დევნილთა დასახლება, თბილისი, მცხეთა...

– არა, სულაც არა... სამი წელია, დღის ცენტრში ვმუშაობ და თქვენ წარმოიდგინეთ, არ მახსოვს სხვაგან ამდენი დადებითი ემოცია, სიყვარული და სიხარული, რაც აქ მუშაობის განმავლობაში მივიღე, ამ ბავშვებისაგან. ყველაზე თბილები, ყველაზე ჭკვიანები და ნიჭიერები არიან. ისინი ისე უყურებენ და აღიქვამენ სამყაროს, როგორც ჩვენ ძალიან ძნელად თუ დავინახავთ. მათი თვალით დანახული სამყარო ძალიან სუფთაა.

დასასრული მე-9 გვერდზე

ხატია მელთაური: რა თქმა უნდა, მომწონს ჩემი საქმე



დახვეწილი გემოვნებით მოწყობილ სამუშაო ოთახში ღიმილით ეგებება თითოეულ სტუმარს. აქ ზოგჯერ ყოველდღიურად 60-ზე მეტი მომხმარებელი აღებს კარს... დოკუმენტების და სხვადასხვა საბუთის მომზადების, გადაქსეროქსების „ეპოქაა“ და ყველას ეჩქარება (ეს ქართული ხასიათიც არის), ყველა მაღლი დონის მომსახურებას ითხოვს და კიდევაც იციან, რომ წეროვნის დევნილთა დასახლების ცენტრში მდებარე ამ პატარა სახლის „ბატონ-პატრონი“'ხატია მელთაური ყველას მოუსმენს, კეთილი განწყობით რჩევასაც მისცემს და მადლიერსაც გაისტუმრებს...

ხატია ჯერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტზე სწავლობდა, შემდეგ პოლონეთში გაემგზავრა და იქაც საერთაშორისო ურთიერთობის პროფესიას დაეუფლა... პროფესიით არ უმუშვია, მოიფიქრა, ასეთი მნიშვნელოვანი სერვისით მომსახურებოდა თავის ხალხს და წეროვნის დევნილთა დასახლებაში დაბრუნდა. უკვე სამი წელია, აქ მუშაობს.

– ხატია, მოგწონს შენი საქმე?

– რა თქმა უნდა, მომწონს... ერთი შეხედვით, თითქოს უბრალო სამსახურია, მაგრამ დღეს ადამიანებს ძალიან სჭირდებათ მომსახურების ეს სერვისები: საბუთების ქსეროქსი, ჩვეულებრივი ფოტოები, საჩუქრების დამზადება ფინჯანზე და მაისურზე სასურველი ნახატებით, სკანერი, ამობეჭდვა...

მე მომწონს, რომ ვითომ ამ წვრილმან საქმეზე ჩვენი ხალხი თბილისში ან მცხეთაში არ მიდის და ძვირფას დროს არ ფლანგავს.

მომსახურების ესოდენ საჭირო სერვისებს გულიანად, პროფესიულ დონეზე აკეთებს ხატია, ხალხიც კმაყოფილი და მადლიერია. შრომითი ბედნიერება, საყვარელი საქმის მიგნება, ამ საქმის მაღალ დონეზე შესრულებისათვის მიზანდასახულობა ნიჭია, რომლითაც მართლა დაუჯილდოებია უფალს ეს მშვენიერი გოგონა... სახელიც ძალიან უხდება, თითქოს მისთვის არის მოგონილი... ეს პატარა, კოპწია სახლიც, თანამედროვე ტექნიკით, ჰარმონიულად ერწყმის მის კეთილ განწყობას, ყველა მადლიერი ჰყავდეს, ყველას უხაროდეს და ეიმედებოდეს ამ სერვისების ცენტრში მოსვლა.

ხშირად მიფიქრია, – მთავარი ის კი არ არის, რა საქმეს აკეთებ, მთვარია, გულით აკეთო, პროფესიულ დონეზე აკეთო შენი საქმე, რომ გარშემომყოფთა წრფელი სიყვარული, პატივისცემა დაიმსახურო... ეს ფიქრი ხატიასთან სტუმრობის შემდეგაც ამეკვიატა, როცა მასთან, როგორც რესპონდენტთან კი არა, შვილიშვილისათვის საჭირო ნოტების ფოტოების ამოსაბეჭდად მივედი...

ღმერთმა ჩვენი თავი არ დაგაჭირვოთ...

მორბედაანელი რომა მორბედაძე საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ახალგორის ცენტრის თანამშრომელია... რას ვერ იტანს? როცა ავადმყოფის საშველად მიქრის მანქანით, მიჰყავს სამედიცინო ბრიგადა და გზას არ უთმობენ... მკითხველი მიხვდა მის პროფესიას, – ის მძღოლია. არავინ ინატრებს მის სტუმრობას სამსახურიდან, ისე კი, სული და გული ბიჭია... უყვარს პოეზია, ხალხური ფოლკლორი, მუსიკა, მოგზაურობა... კიდევ, იცით, რა უყვარს? – ავადმყოფთან გამოძახების დროს, სახლის წინ მდგომი რომ ელოდება ექიმებს და ისინი გაღიმებულები ჩამოდიან, – ანუ გადარჩა ავადმყოფი, ან სულაც არ იყო ისეთი მძიმე... მაგრამ როცა ექიმები მას უხმობენ, – ავადმყოფი წასაყვანია საავდმყოფოშიო, – მაშინ თითქოს ძალა ემატება, ამბობს, – ადამიანის გადარჩენის ინსტინქტზე ძლიერი არაფერი ყოფილაო ამ ქვეყნად.

სასწარაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადას სასაცილო და სახუმარო არაფერი აქვს, თუმცა მაინც მიყვება ერთ ამბავს რომა.

– შარშან გამოძახებაზე წავედით... ყოველთვის ძალიან ვჩაქრობთ და მაშინაც ასე იყო... ექიმი ვახტანგ ეგუტიძე იყო, ექთანი ლამზირა თავდგირიძე... მივედით... ორივემ აირბინა კიბე... დააგვიანეს... ვფიქრობ ჩემთვის, ვფიქრობ და, გადავედი მანქანიდან, ვეღარ მოვითმინე... მე რა უნდა მეშველა, მაგრამ მაინც... ვდგავარ კარებთან, ჩამიჩუმი არ მესმის... უცებ... ბავშვია, ახლად დაბადებულმა ბავშვმა დასჭექა... ტირის და რასა ტირის... ისე გამიხარდა, თითქოს ჩემიანი დაბადებულიყოს... მივხვდი, ქალმა იმშობიარა სახლის პირობებში... მალე დედა-შვილი საავდმყოფოში გადავიყვანეთ... რამდენიმე დღეს მესმოდა იმ ტირილის სასიხარულო ხმა...

– რას ეტყვით ჩვენი გაზეთის მკითხველს?

– ღმერთმა ჩვენი თავი არ დაგაჭირვოთ...

სასკოლო სპორტული ოლიმპიადის დაწყებამდე...

ახალგორის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ სასკოლო სპორტული ოლიმპიადის რეგიონალურ ეტაპზე მონაწილე სკოლის გუნდებს სპორტული ფორმა გადასცა და წარმატებით ასპარეზობა უსურვა.

მცხეთა-მთიანეთის მასშტაბით მოწყობილ ტურნირში ახალგორის სასპორტო სკოლის მოსწავლეები მონაწილეობას მიიღებენ კალათბურთსა და ფეხბურთში, როგორც ვაჟების, ასევე გოგონების გუნდები. შეჯიბრებები ჩატარდება სხვადასხვა ლოკაციაზე, კალათბურთი – სოფელ გალავანში, ხოლო ფეხბურთი – ქალაქ მცხეთაში. კალათბურთელების მასწავლებელ-მწვრთნელია ბადრი გიგაური, ხოლო ფეხბურთელების – გოჩა ბუნტური.

– ამ გუნდებს სხვადასხვა დროს ბევრი წარმატება აქვს მოპოვებული და ვფიქრობთ, ახლაც წარმატებულად იასპარეზებენ. თუ რეგიონალურ შეჯიბრში გამარჯვებას მიაღწევენ, წინ ზონალური შეჯიბრი ელოდებათ, შემდეგ კი საქართველოს საჩემპიონო თამაში იქნება, – გვითხრა ახალგორის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის განყოფილების ხელმძღვანელმა ნუგზარ ფსუტურმა.

მერაბ გელაშვილის მორიგი წარმატება

19 წლის მერაბ გელაშვილი მსოფლიოს 32 საუკეთესო ათლეტს შორისაა და 24-ე პოზიციას იკავებს. ის ამავე დროს საქართველოს ჩემპიონი გახდა თავის წონით კატეგორიაში.

მერაბმა ახალგორის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლა დაამთავრა. ბავშვობიდან გახდა მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი კარატე... დღეს თითოეული ახალგორელი სიხარულით ულოცავს და ამაყობს მერაბ გელაშვილის წარმატებით.

ევროკავშირის საკითხებში საპარლამენტო კომიტეტების კონფერენციამ (COSAC) მხარი დაუჭირა საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების მოლაპარაკების პროცესის მომზადების დაწყებას

ევროკავშირის ეროვნული პარლამენტების ევროპულ საქმეთა კომიტეტების კონფერენციამ (COSAC) მხარი დაუჭირა საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების მოლაპარაკებების გახსნისთვის მუშაობის დაწყებას.

საქართველომ 2023 წლის დეკემბერში მიიღო ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი და ცხრა ახალი პირობა, რომელიც ქვეყანამ უნდა შეასრულოს გაწევრიანების თაობაზე მოლაპარაკებების დასაწყებად. მათ შორისაა პოლარიზაციის დაძლევა, დეოლიგარქიზაცია, თავისუფალი და კონკურენტული არჩევნების უზრუნველყოფა და სხვა.

„COSAC მიესალმება ევროკომისიის მიერ უკრაინასა და მოლდოვასთან მოლაპარაკებების ჩარჩოს პროექტის შესახებ ინიციატივის დასრულებას, რომელიც საბჭოს მიერ დამტკიცდება და მოუწოდებს საქართველოსთან გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებებისთვის მუშაობის დაწყებისკენ", - ნათქვამია განცხადებაში.

კონფერენციის მონაწილეებმა მოუწოდეს წევრობის კანდიდატ ქვეყნებს, ევროკავშირის დახმარებით გააძლიერონ რეფორმებისთვის ძალისხმევა, კოპენჰაგენის კრიტერიუმების შესაბამისად, განსაკუთრებით კანონის უზენაესობის სფეროში.

კოპენჰაგენის კრიტერიუმები მოითხოვს, რომ სახელმწიფომ პატივი სცეს დემოკრატიულ პრინციპებს, თავისუფლებისა და ადამიანის უფლებების დაცვის პრინციპებს, ასევე კანონის უზენაესობის პრინციპს.

ქვეყანაში ასევე უნდა არსებობდეს კონკურენტუნარიანი საბაზრო ეკონომიკა და უნდა აღიაროს ევროკავშირის საეთო წესები და სტანდარტები, მათ შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და მონეტარული კავშირის მიზნების ერთგულება.

ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებების დაწყების შემდეგ საქართველოსთვის სამოქმედო გეგმა განისაზღვრება, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, ქვეყნის კანონმდებლობის ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას გულისხმობს.

საქართველოს ხელისუფლება დარწმუნებულია, რომ ქვეყანას გაუადვილდება პირობების შესრულება, ვინაიდან ამ მიმართულებით მუშაობა ჯერ კიდევ 2017 წელს დაიწყო ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოცირების ხელშეკრულების შესაბამისად და დღემდე გრძელდება. უახლოეს მომავალში მთავრობა ამ მიმართულებით რიგ ახალ ინიციატივას ამზადებს.

გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისარმა ოლივერ ვარჰეიმ აღნიშნა, რომ ევროკავშირის წევრობისთვის განსაზღვრულია მკაფიო პირობები და როგორც კი საქართველო შეასრულებს მათ, გაერთიანება მზად იქნება ჩვენი ქვეყნის მისაღებად. ამასთან დასძინა, რომ თუ საქართველო მზად იქნება 2030 წლისთვის და ყველა პირობას შეასრულებს, ევროკავშირი მზად უნდა იყოს საქართველო იმ დროისთვის მიიღოს.

ყოველთვის ვგრძნობ ჩემი მოსახელე წმინდანის მფარველობას

მე-5 გვერდიდან

ამ ბავშვებისგან იმდენი რამეს ისწავლი, რასაც ვერასდროს წაიკითხავ წიგნში, ვერასდროს მოისმენ ყველაზე ჭკვიანი ორატორისგან. მათგან სიხარულის, ბედნიერების განცდას სწავლობ და რაც ყველაზე მეტად გვაკლია ადამიანებს, მადლიერებას სწავლობ.

მათი გაბედნიერება ძალიან პატარა რამესაც კი შეუძლია, მათი გახარებული და ბედნიერი თვალების დანახვა კი გავიწყებს ყველაფერ ცუდს ამქვეყნად.

ამ ადამიანებს არ სჭირდებათ სიბრალული, მათ თანადგომა სჭირდებათ, დახმარება სჭირდებათ, რომ გახდნენ ჩვენი საზოგადოების სრულუფლებიანი წევრნი.

– თამარ, ახალ პრემიერ-მინისტრს ირაკლი კობახიძეს რას სთხოვდი, შესაძლებლობა რომ მოგეცეს, ან რა საკითხს დააყენებდი?..

– ძალიან რთული კითხვაა, ვთხოვდი კანონის მეტად გამკაცრებას ცხოველებთან დაკავშირებით, სტერილიზაციის მასობრივი პროგრამების ამოქმედებასა და თავშესაფრების მშენებლობასთან დაკავშირებით...

– ჯერ ადამიანებზე გეთქვა, ან ჩვენს დევნილთა დასახლებებზე, ან... ან...

– ეგ ისეთ გადაღეჭილი თემაა...

– არა უშავს...

– მაშინ ჩემი მოთხოვნები უფრო დიდი იქნებოდა. პირველი პრობლემა, რაც გვაქვს, ზაფხულში უწყლობაა, რომელიც ვერა და ვერ მოგვარდა ამდენი წლის განმავლობაში, გზების და ტროტუარების პრობლემა, რაც წეროვნის ზრდასთან ერთად უფრო და უფრო მწვავდება, ნარჩენების მართვის პრობლემა, სადაც მოსახლეობაც საკმაოდ ცუდ როლს თამაშობს. წეროვნის ჯგუფი, ყველაზე დიდი და აქტიური საკომუნიკაციო პლატფორმაა წეროვანში მცხოვრებთათვის, სადაც ყოველდღიურად იწერება მრავალი პოსტი. მათი უდიდესი ნაწილი პრობლემებს ეხება, რომლებიც გვაქვს და ყველამ ძალიან კარგად ვიცით, თუმცა წლებია, ძალიან ნელა გვარდება. ვერ ვიტყვი, რომ აქ მხოლოდ მმართველობითი ხარვეზია, ჩვენ, აქ მცხოვრებლებსაც ძალიან დიდი წვლილი შეგვაქვს ამ პრობლემების არსებობაში. გვაქვს მოუგვარებელი პრობლემები, რომელიც ეხება წყალს, გზებს, ტროტუარებს, ნარჩენების მართვას, რეკრეაციული ზონების სიმცირეს, მიუსაფარი ცხოველების პრობლემებს, რისი მოგვარებაც ჩემი აზრით მხოლოდ მთავრობის ჩართულობით უნდა მოგვარდეს და სწორედ ამ საკითხებით მივმართავდი პრემიერ მინისტრს.

თუმცა ჩვენ ადგილობრივებიც არ ვართ ბოლომდე მართლები, ამ პრობლემებზე მუდმივად გამოვთქვამთ უკმაყოფილებას და პრეტენზიებს, მაგრამ ორი კვირის წინ რომ იყო ჩამოსული მერი წეროვანში, მოსახლეობასთან შესახვედრად, საერთოდ არ ვიცი, მივიდა თუ არა ვინმე. არ ვუფრთხილდებით იმას, რაც გაკეთდა, არ გაგვაჩნია სოციალური პასუხისმგებლობა.

– ამ ყველაფერს პრემიერ-მინისტრს ეუბნები თუ ჩვენს ხალხს?..

– ჩვენს ხალხსაც... მე როგორც ახალგორი მიყვარდა, ისე მინდა მიყვარდეს აქაურობა, ეს დასახლება. აქ ხომ ისევ ჩვენ ვცხოვრობთ, ჩვენ ვსუნთქავთ ერთი

წილი ჰაერით. ყოველ შემთხვევაში, ისევე მინდა მისი კეთილმოწყობა, სილამაზე, სისუფთავე სოციალური პირობების გაუმჯობესება, ადამიანების მხიარული, საქმიანი სახეების დანახვა... თუ ჩვენ, თითოეული ჩვენგანი არ მოვინდომებთ, არ გავუფრთხილდებით, რაც გვაქვს, არ დავაფასებთ, მადლიერნი არ ვიქნებით, მარტო ზემდგომი ორგანოები ვერას გახდებიან...

– შენი ცხოვრების ერთ-ერთი შტრიხი, ინტელექტთან, შრომისმოყვარეობასა და მიზანდასახულობასთან ერთად, იუმორიცაა...

– იუმორი საკმაოდ მარტივი, მაგრამ საკმაოდ რთულია. იუმორით შეხედო რთულ სიტუაციას, მაშინ, როცა საერთოდ არ არის სასაცილო, არც ისე მარტივია, ჩემი გამოცდილებით კი, როგორც აღმოჩნდა, იუმორი ზოგჯერ რთული გასაგებია, ან მე მაქვს ცოტა „ბნელი იუმორი“. ძალიან გიმართლებს ადამიანს, როცა ისეთი გარემოცვა გყავს, ვისაც ესმის შენი იუმორნარევი სიმართლე. ამ მხრივ გამიმართლა, სამსახურში, სადაც ჩემი ცხოვრების დიდ ნაწილს ვატარებ, მყავს ისეთი ხელმძღვანელები, ვისთანაც შემიძლია იუმორით გავუმკლავდე რთულ ვითარებას, ზოგიერთ შემთხვევაში კი იუმორით გადმოვცე ჩემი „პრეტენზია“. იუმორი ხშირად მეხმარება, პირდაპირ ვთქვა სათქმელი და მთლად სამსახურიდანაც არ მიკრან თავი. ბოლოს და ბოლოს, თვით მეფეებისთვისაც კი ხომ მხოლოდ სამეფო კარის მასხარებს შეეძლოთ ეთქვათ სიმართლე იუმორით და შერჩენოდათ მხრებზე თავი.

– თამარ, როდისმე გიგრძვნია შენი მოსახელე წმინდანის მფარველობა?

– დიახ, რა თქმა უნდა. ჩემი აზრით ჩვენ ცოცხალი ადამიანები და გარდაცვლილნი სხვადასხვა გაზომილებაში მყოფი სულები ვართ. ჩვენ გვყოფს მხოლოდ განზომილებები, მაგრამ ვართ ერთი მთლიანის ნაწილები. ერთმანეთს ვერ ვხედავთ ფიზიკური თვალით, მაგრამ შეგვიძლია დაკავშირება მისტიკურ დონეზე, იქნება ეს მედიტაციური მდგომარეობა თუ გონებრივ დონეზე დაკავშირება, რასაც ძალიან ხშირად ვაკეთებ. არა მხოლოდ მაშინ, როდესაც დახმარება მჭირდება, არამედ ყოველთვის, როცა მადლიერება მაქვს გამოსახატი, რადგან ყოველთვის ვგრძნობ თანადგომას, როგორც ჩემი მფარველი წმინდანის, ასევე სხვა მაღალი ძალების. ეს თითოეულ ჩვენგანს შეგვიძლია, უბრალოდ ზოგჯერ ჩვენი ცნობიერება იმდენადაა ჩარჩოებში მოქცეული, რომ არ მივმართავთ ჩვენს მფარველებს, ან არ ვამჩნევთ მათ თანადგომას.

1 მარტი – ᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ ᲗᲔᲝᲓᲝᲠᲔ ᲢᲘᲠᲝᲜᲘᲡᲐ

დიდმარხვის პირველი შაბათი

წმიდა მოწამე თეოდორე ტირონი პონტოს ამასიაში მდგარ პოლკში მსახურობდა. იგი ჯერ ისევ ახალწვეული მეომარი იყო(ტირონი ლათინურად ახალწვეულს ნიშნავს), როცა უსჯულო მეფეებმა-მაქსიმიანემ(305-311) და მაქსიმიანემ(305-313) გამოსცეს ბრძანება, რომლის მიხედვითაც, ყველა ქრისტიანი, რომელიც უარს განაცხადებდა კერპთაყვანისცემაზე, სამსჯავროს უნდა გადასცემოდა. თეოდორესაც მოსთხოვეს ცრუღმერთებისათვის მსხვერპლის შეწირვა, რაზეც მან მტკიცე უარი განაცხადა და საჯაროდ აღიარა ქრისტე. პოლკის სარდალმა, ბრინკამ წმიდანს რამდენიმე დღე მისცა მოსაფიქრებლად.

ლოცვებით განმტკიცებულმა წმიდანმა „ღმეთების დედის“-სიბილას ტაძარი გადაწვა, რაც უკვე აშკარა გამოწვევა იყო. გამხეცებულმა მსაჯულმა ბრძანა, საპყრობილეში ჩაეგდოთ თეოდორე და შიმშილითა და წყურვილით მოეკლათ.

მოწამეს მაცხოვარი გამოეცხადა და უთხრა:“გამხნევდი, თეოდორე, მე შენთანა ვარ; ნუ მიიღებ მიწიერ საზრდელს და სასმელს, რამეთუ შენთვის გამზადებულია საუკუნი ცხოვრება ცათა შინა“. ნუგეშინისცემულმა თეოდორემ გაიხარა და ფსალმუნების გალობა დაიწყო. მის გალობას ანგელოსთა დასიც შეუერთდა. მცველებმა საოცრად ტკბილი ხმის გაგონებაზე ფანჯარაში შეიხედეს და დაინახეს თეთრებში შემოსილ ჭაბუკთა სიმრავლე, რომელიც გარს შემოხვეოდა მოწამეს. როცა კარები შეაღეს, სენაკში არავინ იყო თეოდორეს გარდა.

წარმართებს მალე გაუარათ თავზარდაცემამ და სატანჯველებს მისცეს ნეტარი აღმსარებელი: ჯერ ხეზე მიაბეს და სამთითებით ჯიჯგნეს, შემდეგ კი უზარმაზარი კოცონი დაანთეს და მასთან მიიყვანეს. ძვლებგაშიშვლებული თეოდორე შევიდა ცეცხლში, პირჯვარი გადაისახა და, სულიწმიდის მადლით გაძლიერებულმა, ლოცვით შეჰვედრა სული უფალს. ეს მოხდა 306 წლის 17 თებერვალს. ერთმა ღვთისმოსავმა ქალმა, ევსებიამ სუფთა ტილოში შეგრაგნა წმიდანის უხრწნელი სხეული და თავის სახლში დაკრძალა. შემდეგ მოწამის წმიდა ნაწილები კონსტანტინოპოლში, მისივე სახელობის ტაძარში გადაასვენეს, თავი კი იტალიის ქალაქ გაეტშია დასვენებული.

წმიდანის მიცვალებიდან 50 წლის შემდეგ უსჯულო მეფემ, იულიანე განდგომილმა(361-363)გადაწყვიტა ფარულად შეებილწა ქრისტიანები. მან იხმო კონსტანტინოპოლის გამგებელი და უბრძანა, დიდმარხვის კვირის ყოველ პირველ დღეს ბაზარში გასაყიდი სანოვაგისათვის ნაკერპავი სისხლი ეპკურებინა. წმიდა თეოდორი გამოეცხადა მთავარეპისკოპოს ევდოქსის და უბრძანა, ეცნობებინა მართლმადიდებლებისათვის, არ ეყიდათ ბაზარში სანოვაგე და ეჭამათ მხოლოდ კოლიო – თაფლთან ერთად მოხარშული ხორბალი.

ლარგვისის წმინდა თეოდორე ტირონის სახელობის ეკლესია

ამ მოვლენის აღსანიშნავად ეკლესია ყოველწლიურად, დიდმარხვის პირველი შვიდეულის შაბათს წმიდა თეოდორეს ხსენებას დღესასწაულობს და მის პატივსაცემად აკურთხებს კოლიოს მორწმუნეთათვის.

ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐᲜᲘ

ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐ ᲛᲐᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲫᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

და ვინც მხედავს მე, ხედავს ჩემს მომავლინებელს (იაონ. 12:45)

ვინც ხედავს ნათელს, ხედავს მზესაც. განა შესაძლებელია, რომ ვინმე ხედავდეს მზეს და ვერ ხედავდეს ნათელს? და მზე რომ სინათლეს არ გვიგზავნიდეს, არავის არაფერი ეცოდინებოდა მზის შესახებ. მზის შესახებ მთელ ცოდნას ჩვენ მზის სინათლის მეშვეობით ვიღებთ. არსდროს არავის არ უნახავს მზე რაიმე სხვა სინათლით, არამედ მხოლოდ იმით, რომელიც მზისგანაა.

ასევეა ჩვენი ცოდნა მამის შესახებ ძის მიერ. ვინც არაფერი იცის ძის შესახებ, არ შეუძლია იცოდეს რაიმე მამის შესახებ. ვინც იცნობს ძეს, იცნობს მამასაც. ვინც ხედავს ძეს, ხედავს მამასაც. ღვთის შემეცნება შეუძლებელია ქრისტეს ნათლის გარეშე, რომელიც მოვიდა ადამიანებთან. მამის ნათელი ძეა. „მე ვარ ნათელი“, - ბრძანა ქრისტემ. და ნათელი ბნელში ანათებს. მატერიალური სამყარო სრულ სიბნელეში იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო მზის სინათლე, ასევე იქნებოდა სიბნელეში სულიერი და ზნეობრივი სამყარო და ადამიანის მთელი ცხოვრება, რომ არ ყოფილიყო სინათლე, რომელიც მამისგანაა. ეს სინათლე არის უფალი იესო ქრისტე.

ჭეშმარიტად, ძმებო, ქრისტეს გარდა არ არსებობს სხვა, უფრო ცხადი, სინათლე, რომელიც ღვთის არსებობას ცხადყოფს. ვინც ხედავს ქრისტეს, ის ხედავს ღმერთს, ხოლო ვინც ვერ ხედავს ქრისტეს, ის სიბნელეშია.

უფალო, ძეო ღვთისაო, დაგვეხმარე, რომ ყოველთვის გხედავდეთ შენ და შენ მიერ ვხედავდეთ ზეციერ მამასა და უგეშისმცემელ წმიდა სულს — ერთარსებასა და განუყოფელ სამებას, რომელსაც შვენის ქება და დიდება უკუნისამდე. ამინ.

სწავლება მოძვასის სიძვარულის შესახებ

ხორციელად ყოფნა კი უფრო საჭიროა თქვენთვის (ფილ. 1:24)

ქრისტეს სიყვარულით გასხივოსნებული მოციქული პავლე ფილიპელთა მიმართ ეპისტოლეში აღიარებს, რომ სიკვდილი მისთვის შენაძენია, რადგან მისთვის სიცოცხლე ქრისტეა. ქრისტეს სიყვარულის გამო ის სიკვდილს ესწრაფვის, რათა რაც შეიძლება მალე აღმოჩნდეს ქრისტეს გვერდით, ხოლო მორწმუნეების მიმართ სიყვარული კი აიძულებს კვლავ ხორცში დარჩეს. ეს არ არის ორი ურთიერთსაპირისპირო სიყვარული, რომლებიც მოციქულის გაორებას გამოიწვევს, არამედ ესაა სრული სიყვარული, რომელიც მის წინაშე სიკეთის ორ საუნჯეს წარმოაჩენს: ერთი საუნჯე ნეტარი სამყაროა ზეცაში, მეორე კი - მორწმუნეთა სულები დედამიწაზე. ზეციური სიკეთე ასკეცდება ამქვეყნიური სიკეთეებით, ერთი გადადის მეორეში. ზეცისკენ მოციქულს სიყვარული და ზეციური საზღაური ეწევა, დედამიწაზე დარჩენისაკენ კი — სიყვარული და მოვალეობა.

ძმებო, თუკი მოკვდავი ადამიანი აღიარებს, რომ ძმათა სიყვარულის გამო მეტად მნიშვნელოვანია „ხორცში ყოფნა“, განა საკვირველია, რომ უკვდავმა ღმერთმა მოციქულებზე უწინარეს განსაზღვრა, რომ ადამიანთა მოდგმის გადასარჩენად უფრო მეტად საჭირო იყო ხორცში ყოფნა ? პავლე მოციქულის მიერ ფილიპელთათვის ნათქვამი ფრაზა განა სრულიად გასაგებად არ გვიხსნის იმას, თუ რატომ შეისხა ხორცი უფალმა და რატომ განკაცდა?! იქ, ზეცაში, ქრისტეს ჭეშმარიტი სამეფო და ქრისტეს ჭეშმარიტი ცხოვრებაა, რომლისთვისაც უცხოა ცოდვა და სიკვდილი, მაგრამ ადამიანების მიმართ ძე ღმერთის სიყვარულმა წინასწარ განსაზღვრა დედამიწაზე ადამიანებთან ერთად სხეულში ყოფნის საჭიროება. ჭეშმარიტად, პავლე მოციქულის მადლიერნი უნდა ვიყოთ იმის გამო, რომ მან თავისი მდგომარეობის განმარტებით აგვიხსნა ქრისტეს განხორციელებისა და განკაცების საიდუმლო.

წმიდათა შორის საკვირველო უფალო, ქება და დიდება შენდა უკუნისამდე. ამინ.

წმიდა ნიკოლოზ სერბი

ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობის და საკრებულოს თანამშრომლები უსამძიმრებენ ეთერი და ნაზი ქართველიშვილებს დედის **რუსუდანის** გარდაცვალების გამო.	ახალგორის ყოფილი სტამბა-რედაქციის თანამშრომლები უსამძიმრებენ ნაზი ქართველიშვილს დედის **რუსუდანის** გარდაცვალების გამო.
	ელზა ამირანაშვილი ოჯახით უსამძიმრებს ეთერი და ნაზი ქართველიშვილებს დედის **რუსუდანის** გარდაცვალების გამო.

პირველკლასელთა რეგისტრაცია დაიწყო

წელს პირველ კლასში დარეგისტრირებას შეძლებენ ბავშვები, რომლებსაც 6 წელი 1-ელ დეკემბრამდე შეუსრულდებათ

მე-5 გვერდიდან

საჯარო სკოლას. სკოლის ადმინისტრაცია ბავშვს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (EMIS) დაარეგისტრირებს. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურების მიზნით, მშობელი სკოლაში შესაბამის მიმართვის ფორმას ავსებს, რის შემდეგაც მულტიდისციპლინური გუნდის მიერ ბავშვის შეფასება და მისი საგანმანათლებლო საჭიროების დადგენა მოხდება. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურების შემთხვევაში, სკოლა მოსწავლის ჩარიცხვას შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე უზრუნველყოფს. პირველ ეტაპზე რეგისტრირებული ბავშვებისთვის დოკუმენტების წარდგენისა და ჩარიცხვის პერიოდია 2024 წლის 21 მარტიდან 26 აპრილის ჩათვლით.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლედ შესაძლოა ჩაითვალოს ბავშვი, რომელსაც აქვს: ა) ფიზიკური შეზღუდვა; ბ) ინტელექტუალური განვითარების დარღვევა; გ) სწავლის უნარის დარღვევა; დ) სენსორული განვითარების დარღვევა (სმენის და/ან მხედველობის); ე) მეტყველების განვითარების დარღვევა; ვ) ქცევითი და ემოციური დარღვევა; ზ) გრძელვადიანი ჰოსპიტალიზაციის საჭიროება თ) სოციალური ფაქტორებით გამოწვეული სირთულეები სწავლაში, რის გამოც ვერ ძლევს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს; ი) აუტიზმის სპექტრი.

იმ ბავშვებს, რომლებსაც არ დაუდასტურდებათ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, საშუალება ექნებათ, რეგისტრაცია მომდევნო ეტაპებზე გაიარონ.

რეგისტრაცია განხორციელდება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე registration.emis.ge. რეგისტრაციას უზრუნველყოფს მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი.

პირველ კლასში ჩასარიცხი დოკუმენტები:

- მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს კანონიერი წარმომადგენლის საცხოვრებელი ადგილისა და ტელეფონის ნომრის თაობაზე ინფორმაციას და უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ სხვა მოთხოვნებს, კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი და საქართველოში ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). დოკუმენტების უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანი ქართულ ენაზე).
- მოსწავლის დაბადების მოწმობის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და საქართველოში ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). დოკუმენტების უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანი ქართულ ენაზე).

მისალოცები „დედის დღისათვის“

წეროვნის დევნილთა დასახლების ბაგა-ბაღის 4-5 წლიანი ჯგუფის ბავშვებმა ხელოვნების გაკვეთილზე თავიანთი ხელით მოამზადეს /გამოძეწეს/ ვარდები და სახლისკენ გახრეხულები წავიდნენ, რომ დედიკოებისათვის მიერთმიათ და მიელოცათ 8 მარტი, ჯგუფ „წითელქუდას“ ბავშვებმა კი ყვავილებით „სავსე“ კალათები მიუძღვნეს საყვარელ დედებს.

21 მარტი დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეა

“ერთად დავასრულოთ სტერეოტიპები”

დაუნის სინდრომი - ყველაზე გავრცელებული ქრომოსომული გენეტიკური ცვლილებაა, რომლის დროსაც ნაცვლად 46 ქრომოსომისა, გვხვდება დამატებით ერთი ქრომოსომა 21-ე წყვილში. აღნიშნულ ფაქტს 21-ე წყვილის ტრისომია ეწოდება.

2013 წლიდან დაუნის სინდრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ინიციატივით დამკვიდრდა „უთვალავი წინდის“ (LOTS OF SOCKS) ტრადიცია. კამპანიის მიზანი მასობრივი სოლიდარობის ორიგინალურად გამოხატვაა. ფერადი წინდის შეძენით ადამიანები იქცევენ გარშემომყოფთა ყურადღებას, ავრცელებენ ინფორმაციას. და რატომ მაინცდამაინც წინდა?! – რადგან ორი წინდის შეტყუპებით გამოიხატება ქრომოსომა.

ეს არის ცნობიერების ამაღლების გლობალური დღე.

ახალგორის ბაგა-ბაღის აღსაზრდელებმა პედაგოგებთან ერთად საინტერესო აქტივობით აღნიშნეს ეს დღე.